



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:
18 და 19 დეკემბერი, 2017

დასკვნის წარდგენის თარიღი:
25 დეკემბერი, 2017
თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თარგმანმცოდნეობა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში (100521)
სწავლების ენა	ქართული (არჩევითი მოდულების სპეციალიზაციის შესაბამისი უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული) ენები)
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ერეკლე ჩიგოგიძე, შპს კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინა ლობჟანიძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანჟელა აბულაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მომზადებულია აღნიშნული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე დეპარტამენტის და ცენტრის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით. შემუშავების პროცესში მოხდა ანალოგიური პროგრამების განმახორციელებელი ადგილობრივი და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლა და გათვალისწინება.
- პროგრამის წარმატებულად გავლის შემთხვევაში მისანიჭებული კვალიფიკაცია/ აკადემიური ხარისხი - „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში“.
- პროგრამა აკრედიტებულია 2013 წელს, შუალედურ პერიოდში მისი გადახედვა განხორციელდა სამუშაო ჯგუფის მიერ, მოხდა როგორც უშუალოდ განმახორციელებლების, ისე სტუდენტების და კურსდამთავრებულების მოსაზრებების, შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება, რის შედეგადაც პროგრამამ განიცადა როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი ცვლილებები.
- პროგრამა გათვლილია 8 სემესტრზე და მოიცავს 240 კრედიტს (30 კრედიტი სემესტრულად). აქედან 180 კრედიტი გათვლილია ძირითადი სპეციალობისთვის, ხოლო დარჩენილი 60 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს ან დამატებითი სპეციალობის ასათვისებლად, ან გაიაროს სპეციალობის არჩევითი კურსები. კრედიტების ხსენებულ რაოდენობაში შედის საბაკალავრო ნაშრომისთვის და დარგობრივი პრაქტიკისთვის გათვალისწინებული კრედიტები.
- თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა „მიზნად ისახავს აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება თეორიული მომზადება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც სამომავლოდ გახდება საფუძველი მისი წარმატებული შრომითი კარიერისა.“ ის „ორიენტირებულია მაღალი კვალიფიკაციის, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ექნება მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპები.“ პროგრამული მიზნების თანახმად „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში იქნება ზოგადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელიც დაეუფლება უცხოურ ენას (არჩეული სპეციალიზაციის მიხედვით) და რომელსაც გააზრებული ექნება მომავალი მთარგმნელობითი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, აღჭურვილი იქნება ძირითადი მთარგმნელობითი დისციპლინების თეორიული საფუძვლების ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული კვლევის ჩატარების გამოცდილებით, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარით, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრინციპებით, მზად იქნება სწავლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გასაგებლად ან შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის“.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 11.12.2017 წლის N 785 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ერეკლე ჩიგოგიძე (თავმჯდომარე), ირინა ლოზჟანიძე და ანჟელა აბულაძე. ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა შედგა მიმდინარე წლის 15 დეკემბერს, რა დროსაც მოხდა ჯგუფის წევრებს შორის პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით საკითხებზე შეჯერება.

უშუალოდ ვიზიტი მოიცავდა ორ დღეს: 18 დეკემბერს შედგა შეხვედრები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან და პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან. ამავე დღეს მოხდა უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიების, ბიბლიოთეკის და ზოგადად, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. 19 დეკემბერი დაეთმო შეხვედრებს პროგრამის ხელმძღვანელებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. დასასრულს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები და ჯგუფის წევრების მიერ მიზანშეწონილად მიჩნეული ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- საბაკალავრო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“ გაწერილი მიზნების კუთხით შეესაბამება სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას; ასევე ცალსახაა პროგრამის თავსებადობა სამუშაო ბაზრის მოთხოვნებთან და მისი განხორციელების საჭიროება. ამასთან, მიზნების მიღწევა პროგრამის დღევანდელი მდგომარეობით არსებული სტრუქტურის პირობებში მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი;
- პროგრამის ცალკეული კომპონენტები უმეტესწილად უზრუნველყოფენ გაწერილი მიზნების და შედეგების მიღწევას;
- პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მხოლოდ რამდენიმე სპეციალიზაციის მოდულის შემთხვევაში უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას;
- პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები მათი სრულად მიღწევის შემთხვევაში უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო ბაზარზე;
- პროგრამის შემუშავება-განვითარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობის მექანიზმები შემუშავებულია და დიდწილად ხორციელდება;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჭიროებს დახვეწას;
- პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტებში გამოყენებული სწავლის მეთოდების ერთობლიობა დიდწილად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;
- პროგრამაში შემავალი კომპონენტების და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები დიდწილად ლოგიკურია;
- ცალკეულ კომპონენტებში გამოყენებული სტუდენტთა შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- შეფასების მეთოდები გამჭვირვალე და გასაგებია, სტუდენტები ინფორმირებულები არიან შედეგების, ნაკლოვანებების და გაუმჯობესების გზების შესახებ;
- სტუდენტები ღებულობენ საკუთარი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შედეგების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციას, კონსულტაციას და დახმარებას;
- სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობის პროცედურები რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე;
- უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებს კვლევითი პროექტების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განმავითარებელ და ზოგადად, კურიკულუმისგან დამოუკიდებელ აქტივობებში ჩართულობაში;
- სწავლების, სტუდენტთა დასაქმებულობის და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი;

- დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ფლობენ შესაბამისი კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს;
- პროგრამის განხორციელებას ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;
- სასწავლო მასალა დიდწილად დაფუძნებულია მიმართულების უახლეს მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, თუმცა არსებობს უშუალოდ თარგმანმცოდნეობითი ლიტერატურის შევსებისა და გამრავალფეროვნების საჭიროება;
- არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა;
- როგორც მთელ უნივერსიტეტში, ასევე კონკრეტულად ფაკულტეტზე მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად ხდება შიდა და გარე შეფასებების გამოყენება.

რეკომენდაციები

- მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გადახედვა და სპეციალიზაციის არსებულ მოდულებთან შესაბამისობაში მოყვანა. ასევე წინაპირობების უნიფიცირებული ფორმით გაწერა ყველა შესაბამის შიდასაუნივერსიტეტო დოკუმენტში;
- მოხდეს თარგმანმცოდნეობითი კომპონენტის გაწერა უშუალოდ სპეციალობის მოდულების ფარგლებში (არჩეული უცხოური ენების შესაბამისად) და არა ზოგადი სავალდებულო კურსების სახით;
- მოხდეს უცხოური ენების სალექციო კურსებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების რაოდენობების გადახედვა, უნიფიცირება ენობრივი დონეების მიხედვით და მათი თავსებადობაში მოყვანა ერთიან ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოსთან;
- მოხდეს სწავლების შედეგების გადახედვა, ერთიან სტრუქტურაში მოქცევა და დაკონკრეტება შესაბამისი სალექციო კურსის სპეციფიკის და სწავლის შედეგების რუკაში დაფიქსირებული ინფორმაციის გათვალისწინებით;
- მოხდეს კონკრეტული სალექციო კურსების სილაბუსებში პრაქტიკული შემადგენლის ასახვა, რომელიც სალექციო პროცესში რეალურად გათვალისწინებულია;
- თავიდან იქნას აცილებული თემების დუბლირება;
- უზრუნველყოფილ იქნას ზეპირი, კერძოდ - სინქრონული თარგმანის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობის / პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა-გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოხდეს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის გამრავალფეროვნება დასავლეთევროპელი და ამერიკელი ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების ინტეგრირების ხარისხის ამაღლების კუთხით;
- მოხდეს რიგი სილაბუსების თემატიკის გადახედვა და მათი კურსის დასახელებასთან და მიზნებთან უფრო მეტ შესაბამისობაში მოყვანა;
- მოხდეს პროგრამაში ტერმინების ცალსახა გამიჯვნა (მაგ. „სპეციალიზაცია“);

- მოხდეს ცალკეული სალექციო კურსების პრერეკვიზიტების გადახედვა.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- თვითშეფასების ანგარიშის და ვიზიტის ფარგლებში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შექმნა სამუშაო ჯგუფი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მონაწილეობით, რომელმაც შეასრულა შემდეგი სამუშაოები: დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე გადაიხედა პროგრამის მიზნის შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, განხილულ იქნა ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსები და შეტანილი იქნა ცვლილება როგორც სტატუსსა და თემატიკაში, ასევე სწავლება/სწავლის მეთოდებში. სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მორგებული იქნა ბსუ-ს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემაზე.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა „მომზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში.

[...] უნივერსიტეტი ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიის ფუნდამენტური პრინციპების ერთგულია, მისი უმთავრესი ღირებულებებია: ჰუმანიზმი, ღიაობა, ანგარიშვალდებულება, პიროვნული პოტენციალის სრულყოფილი რეალიზებისთვის ხელშეწყობა, ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული სამეცნიერო კვლევების, სწავლებისა და მართვის პროცესის დინამიკური განვითარება“.

თარგმანმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია: „მომზადოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრები თარგმანმცოდნეობაში, კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც საშუალება ექნებათ დასაქმდნენ მთარგმნელობით ცენტრებსა და დაწესებულებებში, სახელმწიფო თუ კერძო სექტორში, განათლების, მასმედიის, ტურიზმის სფეროში, არასამთავრობო სტრუქტურებში, ან სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაში“. პროგრამის მიზანი ამავდროულად გულისხმობს შემდეგს: „აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება თეორიული მომზადება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. [...] პროგრამის ამოცანაა სტუდენტს ჩამოუყალიბოს ენობრივი კომპეტენციები, მისცეს საბაზო ფილოლოგიური ცოდნა, შეასწავლოს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი საკითხები, მისცეს როგორც ქართული, ასევე ევროპული კულტურული ღირებულებების შესახებ საფუძვლიანი ცოდნა...“

პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან. გარდა ამისა, ზოგადად ქვეყნის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა კვალიფიციურ მთარგმნელ-თარჯიმნებზე, რაც მოცემული რეგიონის შემთხვევაში განსაკუთრებით იკვეთება, ამ ტიპის პროგრამის განხორციელებას აქტუალურს და მნიშვნელოვანს ხდის. ამას ემატება ის გარემოებაც, რომ ანალოგიური საბაკალავრო პროგრამები ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს. აღნიშნულს ადასტურებენ დამსაქმებლები, კერძოდ, ბათუმის მერიის წარმომადგენლები, რომლებმაც რეგიონში მიმდინარე მრავალრიცხოვან უცხოურ პროექტებზე აპელირებით რამდენჯერმე გაუსვეს ხაზი კვალიფიციურ მთარგმნელ-თარჯიმანთა მომზადების საჭიროებას.

პროგრამის მიზნები ნათლადაა ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია იმ ცოდნასა და უნარ-ჩვევებთან, რომლებიც თარგმანმცოდნეობის ბაკალავრს უნდა ჰქონდეს, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და, ზოგადად, მიღწევადი და რეალისტურია. თუმცა მოცემულ შემთხვევაში არსებობს კონკრეტული გარემოებები, რომლებიც პროგრამულად გაწერილი მიზნების მიღწევას მხოლოდ ნაწილობრივ ხდის შესაძლებელს (იხ. 1.2, 1.3, 2.1, 2.2, 2.3, 4.1,

4.4)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შუალედურ პერიოდში მოხდა პროგრამის გადახედვა და დახვეწა შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა რეკომენდაციების შესაბამისად.

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამული კომპონენტების სტრუქტურის და შინაარსის მიხედვით, ასევე მეთოდების და საკონტაქტო საათების მოცულობის და გადანაწილების თვალსაზრისით გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური მიმართულება, რომელიც დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას მხოლოდ ნაწილობრივ ხდის შესაძლებელს. კერძოდ:

1. უცხოური ენების სასწავლო კურსების შემთხვევაში შემდეგი ვითარებაა: A1 დონის სასწავლო კურსი მოიცავს 42 საკონტაქტო საათს, B2-ის შემთხვევაში საკონტაქტო საათების რაოდენობა 224 საათს შეადგენს; A2-ის შემთხვევაში, როდესაც ეს სპეციალიზაციის ენის კურსია - 114, ხოლო როდესაც არჩევითი - 84 საათს. სასწავლო შედეგების რუკის თანახმად, უცხოური ენა, როდესაც ის სპეციალიზაციის ენაა უვითარებეს სწავლის უნარს, როდესაც იგივე ენა არჩევითია - არა. შესაბამისად იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა ენობრივი დონეების და კურსის სტატუსის მიხედვით;
2. ცალკეული ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსების ძირითადი ლიტერატურა ან სალექციო პროცესში აქტიურად გამოყენებული დამხმარე ლიტერატურა მოიცავს ინგლისურ და რუსულენოვან სახელმძღვანელოებს, მაგ. „კულტურათშორისი კომუნიკაცია“, „თარგმანის ისტორია“, „ზოგადი თარგმანმცოდნეობის საფუძვლები“, მაშინ როდესაც რუსული ენის ცოდნა მხოლოდ ამ ენის მოდულის გავლის წინაპირობას წარმოადგენს. სასკოლო განათლების შინაარსიდან გამომდინარე ინგლისური ენის შემთხვევაში ეს გარემოება ნაკლებად პრობლემურია, თუმცა რუსულის შემთხვევაში მდგომარეობა განსხვავებულია.
3. სილაბუსებში სწავლის შედეგები რიგ შემთხვევებში ძალზე ზოგადადაა გაწერილი, შინაარსი კი ცალკეულ შემთხვევებში მხოლოდ პირობით კავშირშია სალექციო კურსის სპეციფიკასთან. არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, რომელშიც ფორმალური თვალსაზრისით მოქცეული იქნებოდა სწავლის შედეგების ველი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- მოხდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სტრუქტურის გადახედვა, საათების გადანაწილების უნიფიცირება სალექციო კურსის სტატუსის მიუხედავად და მორგება ერთიანი ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებზე;
- გადაიხედოს ცალკეულ სასწავლო კურსებში გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა;
- მოხდეს, ერთი მხრივ, სწავლის შედეგების უფრო კონკრეტული სახით გაწერა ცალკეული სალექციო კურსების სპეციფიკის შესაბამისად, მეორე მხრივ კი შედეგები ყველა სილაბუსის შემთხვევაში მოექცეს უნიფიცირებულ ფორმალურ ჩარჩოში.
- მოხდეს რიგი სილაბუსების გადახედვა და თემატიკის შესაბამისობაში მოყვანა სალექციო კურსის დასახელებასთან და მიზნებთან. მაგალითად: „მთარგმნელობითი საქმიანობა საქართველოში“ - მოცული იქნას მთლიანი ისტორიული კონტექსტი დღემდე, „ლექსიკოგრაფია და ტერმინოლოგია“ - გაივრცოს თემატიკა, „ქვეყანათმცოდნეობა“ - მოხდეს უცხოური ენების სასწავლო კურსებთან ერთიან კონტექსტში განხილვა და გადახალისება თემების დუბლირების თავიდან ასაცილებლად; ინგლისური ენის შემთხვევაში: დიდი ბრიტანეთის გარდა შემოტანილ იქნას აშშ-სთან დაკავშირებული თემები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო პროგრამის მიხედვით პირველ სემესტრში გათვალისწინებულია სალექციო კურსი „კლასიკური ენები“. აღნიშნული დასახელების სილაბუსი არ არსებობს, თუმცა წარმოდგენილია ორი სალექციო კურსი - „კლასიკური ენა: ძველი ბერძნული ენა“ და „კლასიკური ენა: ლათინური ენა“, რომლებიც პროგრამაში არ ჩანს. სილაბუსების მიხედვით ორივე სავალდებულოა. ინტერვიუების პროცესში გაირკვა, რომ სტუდენტებმა ამ ორი კლასიკური ენიდან ერთ-ერთი უნდა აიჩიონ. სასურველია, რომ ეს ყველაფერი უფრო გარკვევით იყოს დაფიქსირებული პროგრამაში;
- სასურველია სალექციო კურსი „თარგმანი და ლინგვისტური ტიპოლოგიის“ შინაარსი და ფორმატი გადაიხედოს სპეციალიზაციების ენების შესაბამისად, ან შეიქმნას ანალოგიური დასახელების კურსები ცალკეული მოდულების ფარგლებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის კომპონენტების ერთობლიობის პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კუთხით გამოიკვეთა ერთი პრობლემური გარემოება, რომელიც მოცემული კომპონენტის მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების შესაძლებლობას იძლევა:

1. უნივერსიტეტში ჩაბარების შემდეგ სტუდენტი ირჩევს სპეციალიზაციის ერთ-ერთ მოდულს, რომელიც გულისხმობს შესაბამისი უცხოური ენის - ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული, თურქული - ინტენსიურ შესწავლას. ამასთან შესაბამის ენობრივ-კულტურულ კონტექსტებთან დაკავშირებული სასწავლო კურსებიც შეთავაზებულია მოდულების მიხედვით: მაგალითად, ფრანგული ენის სპეციალიზაციის მოდულის არჩევის შემთხვევაში, სალექციო კურსებს „ქვეყანათმცოდნეობა“, „წერითი კომუნიკაცია“, „ლექსიკოლოგია“, „პრაქტიკული ფონეტიკა“, „ტექსტის ინტერპრეტაცია“, „ფუნქციური სტილისტიკა“, „გრამატიკა“ - „სინტაქსი“ და „მორფოლოგია“, „დარგობრივი ლიტერატურა“, „პროფესიული კომუნიკაცია“ სტუდენტი გაივლის უშუალოდ არჩეულ ენასთან და შესაბამის ენობრივ-კულტურულ სივრცესთან ბმავში, რაც უდავოდ სწორია და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის გაწერილ შედეგებთან. თუმცა ისეთი სალექციო კურსები, როგორებიცაა „ზეპირი თარგმანი 1“, „ზეპირი თარგმანი 2“, „წერითი თარგმანი 1“, „წერითი თარგმანი 2“, „მასმედიის ჟანრობრივი თავისებურებები და მათი თარგმანი“, „სამეცნიერო-ტექნიკური დისკურსის თარგმანის ძირითადი პრინციპები“, „საქმიანი საბუთების თარგმანი“, „აუდიო-ვიზუალური თარგმანი“, „საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისკურსის თარგმანი“, „მხატვრული თარგმანის ძირითადი პრინციპები“ აღნიშნულ მოდულებში მოქცეული არ არის და მათი შეთავაზება ხდება ზოგადი სავალდებულო სასწავლო კურსების სახით. გამოყენებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურაც არის ან ინგლისურენოვანი ან რუსულენოვანი. პროგრამის ხელმძღვანელებმა და განმახორციელებლებმა აღნიშნეს, რომ სწავლება ამ სალექციო კურსების შემთხვევაში ატარებს ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების ფორმატს, როდესაც თეორიული მასალა, არჩეული ენობრივი მოდულისგან დამოუკიდებლად, ყველას მიეწოდება ერთი და იგივე, პრაქტიკული მეცადინეობის კონტექსტში კი ხდება იმ მოდულების შესაბამისი უცხოენოვან ტექსტებზე მუშაობა. თუმცა ამ ტიპის სასწავლო აქტივობების დოკუმენტები არ არსებობს. შესაბამისად, დგინდება, რომ წარმოდგენილი ფორმით პროგრამის მიზნებისა და შედეგების სრულყოფილი და ეფექტიანი მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინგლისური და რუსულენოვანი მოდულების შემთხვევაში, თუმცა აქაც ადგილი აქვს ორი უცხოური ენის იმგვარ კომბინირებას, რომელიც, ყოველ შემთხვევაში სწავლების პირველ ეტაპზე მაინც, შესაძლოა უფრო ხელისშემშლელი აღმოჩნდეს, ვიდრე პროდუქტიული. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღევანდელი მდგომარეობით ძირითადი მოთხოვნა სწორედ ინგლისურენოვან მოდულზეა: თითოეულ კურსზე წარმოდგენილი საშუალოდ 15 სტუდენტიდან ფრანგული ენა აქამდე არჩეული ჰქონდა მხოლოდ ერთს, გერმანული არცერთს, თურქულს კი აქამდე მხოლოდ დამატებით სპეციალობად ირჩევდნენ. პრაქტიკული თვალსაზრისით ამ ეტაპზე პრობლემები ნაკლებად იჩენს თავს, თუმცა პროგრამაში გაწერილი მიზნები და სწავლის შედეგები ყველა მოდულზე და, შესაბამისად, ყველა ენაზე ერთნაირად ვრცელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- მოხდეს უშუალოდ თარგმანთან და პრაქტიკული მთარგმნელობითი ცოდნის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების შემუშავება / თავმოყრა კონკრეტული სპეციალიზაციის ენების მოდულების ფარგლებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც საგანმანათლებლო კუთხით, ასევე დასაქმების ბაზარზეც. კურსდამთავრებულებთან ისევე, როგორც დამსაქმებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ ინგლისურენოვანი მოდულების შემთხვევაში ძირითადი საჭიროება დარგობრივი ტერმინოლოგიის გაუმჯობესებაში მდგომარეობს. პროგრამის მიხედვით, ერთ-ერთ ძირითად მიზანს „სპეციალიზირებული თარგმანის და დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლა“ წარმოადგენს, რაც რამდენიმე მიმართულებით: პოლიტიკური დისკურსი, მას-მედიის ენა, საქმიანი დოკუმენტაციის / მიმოწერის თარგმანი, თემატიკის დონეზე - იურიდიული ტექსტების თარგმნის სპეციფიკა - ხორციელდება კიდევ. აბსოლუტურად ყველა დარგობრივი სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის შესწავლაზე ორიენტირებული სასწავლო კურსების ან თუნდაც თემების ინტეგრირება საბაკალავრო დონეზე არც შესაძლებელია და არც მიზანშეწონილი. ამ კუთხით მიზანმიმართული მუშაობა შესაძლებელია წარმართოს პრაქტიკის ფარგლებში, რადგანაც შესაბამისი მთარგმნელობითი ცოდნის და უნარ-ჩვევების არსებობის შემთხვევაში დარგობრივი ტერმინოლოგიური აპარატის ჩამოყალიბება და დახვეწა შესაძლებელია უშუალოდ სამუშაო ადგილის ან კონკრეტული დაკვეთის მოთხოვნების სპეციფიკის გათვალისწინებით. ასე რომ აღნიშნული გარემოება რაიმე სახის პროგრამულ ნაკლოვანებად ვერ ჩაითვლება. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს ფრანგულენოვანი მოდულის კურსდამთავრებულმა დააფიქსირა გარკვეული ხარვეზი ზეპირი თარგმანის სალექციო კურსების შემთხვევაში, რომელიც უშუალო კავშირშია კომპონენტ 1.3-ში აღწერილ ვითარებასთან და იქვე დაფიქსირებულ რეკომენდაციასთან და რომლის განხილვაც მოცემული კომპონენტის კონტექსტში არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. გარდა ამისა, ინგლისურენოვანმა კურსდამთავრებულებმაც ისაუბრეს გარკვეულ პრობლემებზე ზეპირი თარგმანის დროს და აღნიშნეს, რომ დღევანდელი სახით პროგრამა მათთვის შედარებით უფრო ბევრისმომცემი იქნებოდა, რადგან პროგრამას დაემატა რამდენიმე, მათ შორის პრაქტიკული ფონეტიკის კურსი, რაც კურსდამთავრებულთა აზრით სასარგებლო და მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, ასევე, გასაუბრება სტუდენტებთან, რომლის დროსაც გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი მათგანი უკვე დაკავებულია პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობით და თავს აღნიშნულ სფეროში საკმაოდ კომფორტულად გრძნობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან
- ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვნად მიგვაჩნია პროგრამის სტრუქტურული და შინაარსობრივი გადახალისება, რომლის დროსაც მოხდა კურსდამთავრებულთა და პროგრამის განმახორციელებელთა შენიშვნების და რეკომენდაციების გათვალისწინება.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით აღნიშნული მექანიზმი შემუშავებულია და არსებობს. შექმნილია სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც წარმოდგენილია ყველა დაინტერესებული მხარე და რომელიც მუშაობს პროგრამის დახვეწაზე.

აღნიშნულზე მეტყველებს, ასევე, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვები და ამ გამოკითხვების ანალიზი, რომლებიც მათ შორის განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ადმინისტრაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალი აქტიურადაა ჩართული პროგრამის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში. რაც შეეხება დამსაქმებლებს, მერიის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ უშუალოდ თარგმანმცოდნეობის პროგრამის შინაარსს არ იცნობენ, თუმცა მთარგმნელობითი ბიუროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იცნობს პროგრამას და მასთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნია. სტუდენტებმაც და კურსდამთავრებულებმაც აღნიშნეს, რომ გამოკითხვებში აქტიურად მონაწილეობენ, თუმცა აღნიშნული სამუშაო ჯგუფის შესახებ ინფორმირებულები არ არიან. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული კომპონენტი დიდწილად დაკმაყოფილებულია, თუმცა სასურველია დამსაქმებელთა და სტუდენტთა ჩართულობის ხარისხის ამაღლება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- დამსაქმებელთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები
- ინტერვიუები დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან, სტუდენტებთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამის და სილაბუსების გადახედვის პროცესში სასურველია დაინტერესებული პირების ჩართულობის ხარისხის ამაღლება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ შემდეგს: „აკრედიტაციის ვადაში პროგრამის განხორციელების პროცესში ადგილი ჰქონდა დაბალ აკადემიურ მოსწრებას სპეციალიზაციის ენის ათვისებაში, ამიტომ პროგრამის წინაპირობებში დამატებულია პირობა - სპეციალიზაციის ენის ჩაბარების აუცილებლობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე“. აღნიშნული წინაპირობა უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში დაფიქსირებული არ არის.

გარდა ამისა, წინაპირობების ამ ფორმით განსაზღვრის შემთხვევაში იკვეთება შემდეგი პრობლემა: პროგრამის მიხედვით სპეციალიზაციის ენებად განსაზღვრულია ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული და თურქული ენები. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე კი თურქული ენის ჩაბარება შესაძლებელი არ არის. შესაბამისად გაურკვეველია, როგორ შეძლებს უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტი თურქული ენის მოდულის გავლას, თუკი აღნიშნული წინაპირობის დაკმაყოფილება პრინციპში შეუძლებელია. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ინტერვიუების დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა დააფიქსირეს, რომ თურქული ენის მიმართულებით აქამდე არჩევანი მხოლოდ იმ სტუდენტებს აქვთ გაკეთებული, ვინც „თარგმანმცოდნეობის“ პროგრამას დამატებით სპეციალობად ირჩევს. თუმცა ძირითად სპეციალობად თურქული ენის მოდულის არჩევის შემთხვევაში აღნიშნული პრობლემა იარსებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ერთნაირად იქნას გაწერილი ყველა შესაბამის დოკუმენტში;
- მოხდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების იმგვარი ადაპტაცია, რომ მსურველთათვის იმთავითვე შეუძლებელი არ აღმოჩნდეს სასურველი მოდულის არჩევა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროცესში გამოიყენება სწავლების და შეფასების სხვადასხვა ფორმატი, მეთოდი და ტექნიკა, თუმცა უშუალოდ მთარგმნელობით აქტივობებთან დაკავშირებული სალექციო კურსების შემთხვევაში, როგორებიცაა მაგალითად, „წერილობითი თარგმანი 1“, „წერილობითი თარგმანი 2“, „ზეპირი თარგმანი 1“, „ზეპირი თარგმანი 2“, „საქმიანი საბუთების თარგმანი“, „მასმედიის ჟანრობრივი თავისებურებები და მათი თარგმანი“, „სამეცნიერო-ტექტნიკური დისკურსის თარგმანის ძირითადი პრინციპები“, სილაბუსები ატარებენ გამოკვეთილად თეორიულ ხასიათს. ხშირ შემთხვევაში მეორდება თემები, რომლებიც სხვა სალექციო კურსების ფარგლებში უკვე დამუშავებული უნდა იყოს. ასევე ადგილი აქვს კურსიდან კურსამდე ერთი და იმავე სახელმძღვანელოს გამოყენებას. ეს ყველაფერი შესაძლოა მართლდებოდეს იმით, რომ ერთი და იგივე მთარგმნელობითი სტრატეგიის, მეთოდის ან ტექნიკის განხილვა ხდება სხვადასხვა ტიპის თუ დარგის ტექსტის პრაქტიკულ მაგალითებზე. თუმცა ამგვარი მიდგომა სილაბუსებიდან არ ჩანს.

თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ უშუალოდ სასწავლო კურსების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას დაფიქსირდა, რომ მეცადინეობების ფორმატი სავალდებულო სახით გულისხმობს კონკრეტულ პრაქტიკულ აქტივობებს, იმის მიუხედავად, რომ ეს ყველაფერი სილაბუსებში არ არის გაწერილი. პერსონალმა აღნიშნა, რომ მეცადინეობის დროს ხდება უახლესი პოლიტიკური ტექსტების, აუდიო და ვიდეომასალის დამუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება

რეკომენდაციები:

- მოხდეს სილაბუსებში ყველა იმ აქტივობის, მიდგომის, პრაქტიკული თუ თეორიული მასალის, შეფასების ფორმის და მეთოდის გათვალისწინება, რომელთა გამოყენებაც რეალურად დაგეგმილია და ხდება კონკრეტული სალექციო კურსების ფარგლებში

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში შემავალი ზოგიერთი კომპონენტის თანმიმდევრობა ლოგიკურია, თუმცა კომპონენტებზე დაშვების წინაპირობების კუთხით, რიგ შემთხვევებში იკვეთება შეუსაბამობა: უცხოური ენების გარდა სასწავლო კურსების უმეტესობას დაშვების წინაპირობა არ გააჩნიათ, რაც პროგრამის სპეციფიკის და სალექციო კურსების თავისებურებების გათვალისწინებით არ მიგვაჩნია ლოგიკურად. აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერვიუებისას აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან დაფიქსირდა, რომ რიგ შემთხვევებში დაშვების წინაპირობა ბუნებრივად იგულისხმებოდა, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით წინაპირობების დაკმაყოფილების საჭიროება არ არსებობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს და თითოეული სალექციო კურსის სპეციფიკის შესაბამისად თავიდან გაიწეროს დაშვების წინაპირობები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული კომპონენტისთვის გაწერილი შეფასების მეთოდები და კომპონენტები დიდწილად უზრუნველყოფენ ამავე კომპონენტით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. პროგრამის თითოეულ კომპონენტში გამოიყენება ბსუ-ს მიერ შემუშავებული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომლის თანახმად სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურ გამოცდას, მიმდინარე შეფასებებს და შეფასების სხვა სახის კომპონენტს (რეფერატი, პრეზენტაცია და სხვ.). დასკვნითი შეფასების ფორმებია: დასკვნითი გამოცდა (კომბინირებული ტესტი) და სხვა სახის შეფასება (პრაქტიკის, შემოქმედებითი/პრაქტიკული სახის პროექტის, საბაკალავრო ნაშრომის შეფასება).

სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა მინიმუმ 40 და მაქსიმუმ 60 ქულა (შუალედური გამოცდა - 20, ხოლო მიმდინარე შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა) და დასკვნით გამოცდას - მინიმუმ 40 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტებია: ზეპირი/წერიითი გამოცდა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო, კომბინირებული ტესტები და სხვ. თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი ასახულია სასწავლო კურსის სილაბუსში.

შუალედური გამოცდა ტარდება წერიითი ფორმით, ხოლო დასკვნითი გამოცდა - ან მხოლოდ წერიითი, ან კომბინირებული (წერიითი და ზეპირი) ფორმით. კომბინირებული გამოცდის შემთხვევაში, წერიითი ნაწილის ხვედრითი წილი გამოცდის საერთო შეფასების არანაკლებ 50%-ია. წერიითი დავალები კომბინირებულ ხასიათს ატარებენ (დახურული ტესტები, ღია ტესტები, სავარჯიშოები, თემები, სიტუაციური ამოცანები და სხვ.).

ერთადერთი თვალშისაცემი მომენტია ზეპირი თარგმანის სასწავლო კურსებში შეფასების წერილობითი ფორმების ზედმეტად დიდი წილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გადაიხედოს შეფასების მეთოდები სასწავლო კურსებში „ზეპირი თარგმანი 1“ და „ზეპირი თარგმანი 2“

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალედ და გასაგებადაა გაწერილი სასწავლო კურსების სილაბუსებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტის მმართველობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ყოველი სემესტრის დასაწყისში სტუდენტებს დეტალურად აცნობენ სასწავლო კურსების სილაბუსებს. აღნიშნული დაადასტურეს სტუდენტებმაც, აღნიშნეს რა, რომ ყველა ლექტორი პირველი ლექციის დროს უთმობს სილაბუსის გაცნობას და თითოეული სტუდენტი ინფორმირებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დინამიკის შესახებ. თვითშეფასების თანახმად, ნაშრომები სწორდება ანონიმურად, გამსწორებლები კი ვალდებულები არიან წერილობით ნაშრომზე გააკეთონ კომენტარები და განმარტონ, თუ რის გამო დააკლდა სტუდენტს ქულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრებები უნივერსიტეტის მმართველობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს და, ასევე, ინტერვიუების პროცესში ჩატარებული გამოკითხვებით დასტურდება, სტუდენტები დეზულობენ სრულ ინფორმაციას როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვის და საკუთარი პროფილის განსაზღვრის, ასევე შემდგომი დასაქმების შესაძლებლობების და პოტენციურ დამსაქმებლებთან კონტაქტების დამყარების კუთხით. პროგრამის ხელმძღვანელები, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა, უშუალოდ სასწავლო კურსების განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი სხვადასხვა ფორმატში აწვდიან სტუდენტებს ყველა საჭირო სახის ინფორმაციას. იგივე ეხება კონსულტაციებსა და დახმარებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი იყენებს EMIS-ის ელექტრონულ სასწავლო პლატფორმას, რომელზეც თითოეული სტუდენტისთვის შექმნილია ინდივიდუალური პროფილი, რომლის საშუალებითაც მათ შეუძლიათ საჭირო ინფორმაციის მიღება, გამოკითხვებში მონაწილეობა და ა. შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში; - გასაუბრება უნივერსიტეტის მმართველობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; - უნივერსიტეტის ვებგვერდი - სტუდენტების გამოკითხვები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალის დატვირთვაში სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მოცულობას არეგულირებს 2016 წლის 12 სექტემბერს დამტკიცებული „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების წესი“, მუხლი 5, პუნქტი 5.3: „სტუდენტთა კონსულტაცია - „ა“ კატეგორიისთვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ხოლო „ბ“ და „გ“ კატეგორიებისთვის - კვირაში არანაკლებ 2 სთ. (სავალდებულო შესასრულებელი).“ აღნიშნული რეგულაცია უნივერსიტეტში სრულდება, რასაც უნივერსიტეტის მმართველობის, პროგრამის ხელმძღვანელების და აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა, ასევე ადასტურებენ სტუდენტებიც. საკონსულტაციო შეხვედრების დროს ხდება სტუდენტებთან მუშაობა როგორც უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების, ასევე კურიკულუმის მიღმა აქტივობებისათვის მოზადების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების წესი
- გასაუბრებები უნივერსიტეტის მმართველობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვკითხულობთ შემდეგს: „ბსუ ხელს უწყობს ისეთ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს საკვლევ პრობლემასთან, შემოქმედებით პრაქტიკასთან დაკავშირებით ახალი ცოდნის, ხედვების, მიდგომებისა და პერსპექტივების ჩამოყალიბებას“. სტუდენტის კვლევით პროექტებში ჩართვის მიზნით ბსუ-ში შექმნილია სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრი. ფაკულტეტებზე შექმნილია შესაბამისი მიმართულების სამეცნიერო კლუბები, რომელსაც ხელმძღვანელობს დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი. „თარგმანმცოდნეობის“ პროგრამის სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო ფორუმების ორგანიზებაში (ასე, მაგალითად, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო ფორუმის „გეოპოლიტიკური სივრცე: სმარტ-ტექნოლოგიები განათლებასა და სოციუმში“, რომელიც წარმატებით ჩატარდა ამა წლის 30.06-05.07. ისინი ასრულებდნენ გიდების, თარჯიმნების ფუნქციებს). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ორი წლის განმავლობაში ტარდება საზაფხულო სკოლა „ენების კვირეული ბსუ-ში“, რომლის აქტიური მონაწილეები თარგმანმცოდნეობის პროგრამის სტუდენტები არიან. პროგრამაში ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ხელს უწყობს თარგმანმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტებს ფრილანსერებად მუშაობაში. აგრეთვე, ისინი აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტურ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო ბაზაზე. მათი მასალები ქვეყნდება შრომათა კრებულებში. სტუდენტები საკონფერენციო ნაშრომებს ამზადებენ აკადემიური პერსონალის ხელმძღვანელობითა და სამეცნიერო წრის ხელმძღვანელის კოორდინირებით. წარჩინებული სტუდენტებისათვის, ვინც იჩენს აქტივობას სამეცნიერო კონფერენციებში, შემოქმედებით საქმიანობაში და სხვა სახის აქტივობებში, დაწესებულია სახელობითი სტიპენდია....ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის №1 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია დებულება: „ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“, რომლის მიზანია დაადგინოს სტუდენტთა ინდივიდუალური, ერთობლივი ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოდგენილი ინიციატივა, პროექტი შეიძლება იყოს საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ან სპორტული თემატიკის“.

აღნიშნულს ადასტურებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ უნივერსიტეტი მათ ყველანაირად უწყობს ხელს სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართვის თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ბსუ-ში სტუდენტური ინიციატივებისა და პროექტების წარდგენისა და დაფინანსების წესი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის განხორციელების პერიოდში უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის, პროგრამის ხელმძღვანელების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან თარგმანმცოდნეობის პროგრამის სტუდენტთა სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა - სტუდენტთა სპეციალობის შესაბამისად სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში ჩართულობით დაწყებული და პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების აწყობით დამთავრებული.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი და პროგრამის განხორციელებაში ჩართული ფაკულტეტი შეძლებისდაგვარად ზრუნავენ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებაზე. ჰუმანიტარული მეცნიერებების კონტექსტში უნივერსიტეტი ოფიციალურად თანამშრომლობს პუატიეს უნივერსიტეტთან, სოფიის წმინდა კლემენტ ობრიდსკის უნივერსიტეტთან, სამხრეთ-დასავლეთ უნივერსიტეტთან „ნეოფიტ-რილსკი“, „სუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან“, „ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ უნივერსიტეტთან“. უნივერსიტეტი ჩართულია „ჰორიზონტ 2020“-ის საგრანტო პროექტ KEAS-BSR-ში, „ERASMUS+“-ში, თანამშრომლობს გრაცის უნივერსიტეტთან. თარგმანმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სალექციო კურსებს ესწრებოდნენ სტუდენტები ყაზახეთიდან და ესპანეთიდან.

გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო კუთხით თანამშრომლობის გაღრმავება გართულებულია, რადგან ჰუმანიტარული მეცნიერებები და, კერძოდ, თარგმანმცოდნეობა არაა მიჩნეული პრიორიტეტულ მიმართულებებად და ამ კუთხით ჭირს საგრანტო პროექტებში მონაწილეობა, თუმცა უნივერსიტეტის და, კერძოდ, ფაკულტეტის აქტიური მუშაობა ამ მიმართულებით სახეზეა. სტუდენტები და კურსდამთავრებულებიც აღნიშნავენ, რომ ისინი ინფორმირებულები არიან საგრანტო/სასტიპენდიო პროგრამების შესახებ და შეუძლიათ შესაბამის კონკურსებში მონაწილეობის მიღება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გაფორმებული ხელშეკრულებები
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერნეტ რესურსი
- გასაუბრება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხელმძღვანელობასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

თარგმანმცოდნეობის პრაქტიკული ხასიათის სასწავლო კურსების შემუშავებისას სასწავლო პროცესში უცხოელი სტუდენტების ჩართულობის ხარისხის უფრო მეტად გათვალისწინება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- პროგრამის განხორციელების პერიოდში 8 უცხოელი სტუდენტის ჩართულობა სალექციო პროცესში;
- თანამშრომლობის ინიცირება გრაცის უნივერსიტეტთან და გაფორმებული ხელშეკრულება პუატიეს უნივერსიტეტთან.

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს „თარგმანმცოდნეობის“ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო აუდიტორიები განლაგებულია უნივერსიტეტის პირველ კორპუსში (ნინოშვილის ქ. №35), უზრუნველყოფილია ინვენტარით, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემით, სველი წერტილებით, ცენტრალური გათბობით. უსაფრთხოების დაცვის მიზნით კორპუსში განლაგებულია ხანძარსაწინააღმდეგო ონკანები, გამოკრულია ევაკუაციის გეგმები, უნივერსიტეტს აქვს სამედიცინო პუნქტი. პირველ კორპუსში განლაგებულია უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა. პროგრამის განხორციელებას ემსახურება კომპიუტერებით აღჭურვილი ორი აუდიტორია, სტუდენტებს აქვთ საშუალება ფაკულტეტის ფოიეში განთავსებული კომპიუტერები გამოიყენონ საჭირო ინფორმაციის მოპოვებისათვის. ვიზიტის დროს უშუალოდ ფაკულტეტის კომპიუტერული კლასების დათვალიერების საშუალება მიმდინარე რემონტის გამო არ მოგვეცა, თუმცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განგვიმარტეს, რომ შესაბამისი ლექციები ტარდება ან უნივერსიტეტის კომპიუტერულ აუდიტორიებში, ან სხვა ფაკულტეტების სათანადო ტექნიკით აღჭურვილ კლასებში. აღნიშნულის დათვალიერების შესაძლებლობა ჯგუფს მიეცა.

გარდა ამისა, ზეპირი თარგმანის ორივე სალექციო კურსის მიზნებში გაწერილია „სინქრონული თარგმანისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გავარჯიშება“, თუმცა უნივერსიტეტს ამ ეტაზე შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა / პროგრამული უზრუნველყოფა არ გააჩნია, რაც გაწერილი მიზნის მიღწევას პრობლემურს ხდის. ამასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს სინქრონული თარგმანის აპარატურა, რომელიც განთავსებულია საკონფერენციო დარბაზში (მიმდინარე რემონტის გამო ხსენებული აპარატურის დათვალიერება არ მოხერხდა). თუმცა ეს ტექნიკური საშუალება ორიენტირებულია უშუალოდ თარგმანის შესრულებაზე და მხოლოდ ნაწილობრივია გამოსადეგი სასწავლო მიზნებისთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე განგვიმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით უკვე გაწეულია შესაბამისი სამუშაო, მოძიებულია რამდენიმე ალტერნატივა და ფაკულტეტი სამომავლოდ გეგმავს საჭირო ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გაფორმებული ხელშეკრულებები
- დათვალიერება
- გასაუბრება უნივერსიტეტის მმართველობასთან, ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებთან

რეკომენდაციები:

- მოხდეს სასწავლო პროცესში ზეპირი თარგმანის, პირველ რიგში სინქრონული თარგმანის პრაქტიკული უნარების გასავარჯიშებლად და შესაფასებლად საჭირო ტექნიკური საშუალებების შეძენა ან არსებული კომპიუტერული კლასების სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით აღჭურვა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია თარგმანმცოდნეობის სპეციალიზაციის მქონე 2 ასოცირებული, 2 ასისტენტ პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი, ასევე 3 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი და 3 მოწვეული სპეციალისტი, რომლებიც ამავდროულად პრაქტიკოს მთარგმნელ-თარჯიმნებს წარმოადგენენ. როგორც წარმოდგენილი CV-ით, ისე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომებით და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებით გამოიკვეთა, რომ პროგრამაში შემავალი კომპონენტების განმახორციელებელი პირები თავად ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა საკმარისია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი საბუთები
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელება მხარდაჭერილია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ - მაგ. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის სამსახურები, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის სამსახური, სტრატეგიული განვითარების და საგარეო ურთიერთობათა სამსახური და ა. შ. - და ფუნქციების შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - გასაუბრებები უნივერსიტეტის მმართველობასთან და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან - უნივერსიტეტის წესდება - უნივერსიტეტის სტრუქტურა - ფაკულტეტის დებულება - სტუდენტთა გამოკითხვები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო მასალა დიდწილად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, თუმცა როგორც სილაბუსებიდან და ასევე ადგილზე დათვალიერებისას გამოიკვეთა, უშუალოდ თარგმანმცოდნეობის სპეციალიზაციით დომინირებს რუსულენოვანი ლიტერატურა. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებულია ობიექტური გარემოებით - თარგმანმცოდნეობის სფეროში უახლესი კვლევები ჩვენს ქვეყანაში ძალზე მწირადაა წარმოდგენილი, დარგის აქტუალური ქართულენოვანი სახელმძღვანელოების კუთხით კი ვითარება კიდევ უფრო მძიმეა. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს თავად უწევთ რიდერების შექმნა, რომლებიც რიგ შემთხვევებში სრულად შეესაბამებიან როგორც ცალკეული კომპონენტების, ასევეზოგად პროგრამულ მიზნებს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ატარებენ ე.წ. სასწავლო მასალის საქალაქდების სახეს, რომლებიც მუდმივად ივსება დასისტემურ სტრუქტურას მოკლებულია.

ასევე, ფაქტობრივად არაა წარმოდგენილი არც გერმანული, არც ფრანგული და არც თურქულენოვანი დარგობრივი ლიტერატურა თარგმანმცოდნეობაში, რაც უშუალო კავშირშია კომპონენტ 1.3-ში აღწერილ ვითარებასთან.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს შედეგი: როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა, ისე აკადემიურმა პერსონალმა და მოწვეულმა სპეციალისტებმა დააფიქსირეს, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის იგეგმება ხსენებული უცხოენოვანი დარგობრივი ლიტერატურის შეძენა და უკვე მომზადებულია სასურველი სახელმძღვანელოების სიები. მაგალითად, რელევანტური გერმანულენოვანი სახელმძღვანელოების ჩამონათვალი მოთხოვნისთანავე იქნა წარმოდგენილი.

სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. რიდერების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია როგორც მატერიალური, ასევე ელექტონული ფორმით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები
- საბიბლიოთეკო რესურსების ადგილზედათვალიერება
- გასაუბრება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

რეკომენდაციები:

- უზრუნველყოფილ იქნას უშუალოდ თარგმანმცოდნეობასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოების შევსება სპეციალიზაციების მოდულების შესაბამის ენებზე შექმნილი უახლესი ლიტერატურით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „თარგამცოდნეობის“ საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტების სწავლის საფასურისა და სასწავლო გრანტების თანხებით. პროგრამის ყველა კომპონენტის შესრულება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - 2016 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

1. მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს “დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე” ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტშიც და, კერძოდ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზეც მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ჩართულია როგორც სასწავლო პროგრამების და სილაბუსების შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ისე მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, შედეგების ანალიზის და სამომავლო რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. უნივერსიტეტში მოქმედებს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი და ყველა პროგრამა იქმნება შესაბამისი პროცედურების მიხედვით. ხარისხის სამსახური ახორციელებს სალექციო პროცესის მუდმივ მონიტორინგს. ყოველსემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე ხარისხის სამსახური ამზადებს რეკომენდაციებს როგორც ცალკეული სასწავლო კურსების, ისე მთლიანად პროგრამის დახვეწა-განვითარების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - გასაუბრებები უნივერსიტეტის მმართველობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. - კითხვარები / გამოკითხვის შედეგები - უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა და გარე შეფასების სისტემა ორიენტირებულია სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე და მოქმედებს ყველა რელევანტურ დონეზე: იქნება ეს სტუდენტების და კურსდამთავრებულების გამოკითხვები, თუ სასწავლო პროცესზე დაკვირვება და მუშაობა პროფესორ-მასწავლებლებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - თვითშეფასების ანგარიში - გასაუბრებები უნივერსიტეტის მმართველობასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ფაკულტეტის და პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. - კითხვარები / გამოკითხვის შედეგები - უნივერსიტეტის ვებგვერდი
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სტუდენტების გამოკითხვა მიმდინარეობს ელექტრონულად, რა დროსაც ისინი შევსებულ კითხვარებს გზავნიან საკუთარი პროფილიდან. მართალია საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება კონკრეტული სტუდენტების ვინაობის შესახებ არ ხდება, თუმცა სასურველია ანონიმურობის დაცვა უზრუნველყოფილი იქნას სისტემურად, ისე რომ მონაცემები დამმუშავებელთან უკვე დაშიფრული სახით მიდიოდეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „თარგმანმცოდნეობა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება		X	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: „თარგმანმცოდნეობა“

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა ში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება		X	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ი. ციხუ
ა. აბუჯი